№ 177

სამშაბათი, 15 აგვისტო, 1900 წ.

გაზეთის ფასი:

ვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
2	10 —	6	6 —
1	9 50	5	5 50
0	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 177

სამშაბათი, 15 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 აგვისტოს.

თავადი რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ამა მარიამობისთვის 12-სა თვისის საყვარელის მეუღლის

კნეინა ეკატერინე ივანეს ასულის ვაჩნაძისას

და სთხოვს მობრძანდნენ სოფელ ბაკურციხეში, საიდგანაც სამშაბათს, 15 მარიამობისთვეს, დილის 10 საათზედ, მიცვალებულის გვამი გასვენებული იქმნება საკუთარის სასახლიდგან სოფ. კარდანახის საგვარეულოს სასაფლაოზედ წმიდის საბის მონასტერში დასაკრძალავად.
(1—156—1)

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—14) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

დღეს, 15 აგვისტოს,
ტფილისის სობრანიის დარბაზში გაიმართება

კონცერტი

ნადეჟდა დიმიტრის ასულის სლავიანსკისა, მისის დის ელენე დიმიტრის ასულისა, ხოროს და ორკესტრის მონაწილეობით. ერთი ნაწილი შემოსავლისა გადაიდება საქველმოქმედო საქმისათვის. ადგილების ფასი 1 მანეთიდგან 20 კაპეიკამდეა. დასაწყისი საღამოს 6 საათზედაა. ბილეთები სობრანიის შვეიცართან იყიდება. (1—157—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფებს იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ს. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

მ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ვ. ვ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

მ. ლ. მარკევიჩი—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—11½—12½ საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

ახალი ამბავი

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას აზრადა აქვს გადაათვალიეროს და შესცვალოს აწ არსებული გლეხთა შესახები კანონები. წინად ჰფიქრობდნენ, ყველა ეს კანონები ერთად განეხილათ და შესაფერი ცვლილებანი მოეხდინათ, ამისთვის ეს საქმე ჯერ ხანობით გადასდეს. მთავრობას ეს განზრახვა შეუცვლია და გადაუწყვეტია, ეხლავე შეუდგეს გლეხთა შესახების ზოგიერთის კანონის განხილვას. პირველად ის კანონები უნდა იქმნას განხილული, რომლებიც შეეხება გლეხთა საზოგადოებების მიერ ახალის წევრების მიღებას.

⁂ რადგანაც თითქმის მთელს რუსეთში ნაკლებად მოიპოვებიან პრაქტიკულად მომზადებული მასწავლებელნი სახალხო სკოლებისათვის, საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტნია ამა მიმდინარე წლის შემოდგომიდგან შემოიღოს ზოგიერთ გუბერნიაში განსაკუთრებული საპედაგოგიო კურსები. კურსებს აზ-

ფელეტონი

წერილები ინგლისიდგან

წერილი მე-IX

(საკუთარის თანამშრომლისაგან)

ფოსტის საქმეების არევ-დარევა—„ინგლისურს არა ჰგავს!“—კრიზისის მიზეზები.—პარლამენტის კრების დასრულება.—მომავალი არჩევანები და დასის მდგომარეობა.

სწორედ საზღაპრო ამბავი შეემთხვა ინგლისს: ერთ მშვენიერ მაისის დილას, თითქოს რაღაც მანქანებითა, მთელს ინგლისში წერილები და გაზეთი აღარავის მიუღია. წარმოუდგენელია საზოგადოების გაკვირვება და უკმაყოფილება. რადა? რა მოხდა? რატომ წერილები და ფოსტით გაგზავნილი სხვა ნივთები დანიშნულებისამებრ არ მიიტანეს? ან რა მიზეზია, რომ წერილები მოულოდნელად იგვიანებდა ერთის დღით, ხოლო ზოგჯერ სულაც იკარგებოდა.

როგორც საზოგადოებამ, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებმა ერთი ლაპარაკი და აურზაური ასტეხეს. უკმაყოფილებას დასასრული არა ჰქონდა. მალე მიზეზიც შევიტყვეთ. ფოსტათა დირექცია გაზეთების შემწეობით ბოდიშს იხდიდა საზოგადოების წინაშე და აცხადებდა, რომ წერილების გადამრჩევი ბიურო ახალს, სამაგალითო შენობაში იქმნა გადატანილი და ამის გამო რამდენიმე დღე წერილების დატარება უთუოდ დაგვიანდებაო. თუმცა ამ განცხადებამ ძალიან გააკვირვა საზოგადოება, რადგანაც ფოსტას ინგლისში 110 მილიონი მანეთი წმინდა მოგება აქვს და ყველა ჰკუათა მყოფელი იმასა ჰფიქრობდა, რომ ამ შემოსავლით დირექციამ ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ წერილები თავისს დროზედ ურიგდებოდეს ხალხსაო, მაინც ეგევე საზოგადოება სასტიკად აღარ მოექცა დირექციას იმ იმედით, რომ ორი-სამის დღის შემდეგ საქმე მოეწყობა და ყველაფერი თავისს დონეზედ დადგებაო. მაგრამ გავიდა კვირა, გავიდა ერთი თვე, და წერილების დატარებას-კი წესი და რიგი არ ელირსა. საქმე პარლამენტამდის მივიდა. როდესაც ამის გამო მთავრობას შეეკითხნენ, ერთმა წევრმა მთავრობისამ, განმჭურიმ, გოდება და ჩივილი დაიწყო,—მეც მიგვიანდებენ წერილსაო. მაგრამ მიზეზი ფოსტის საქმეების აწეწვისა და წერილების დროზედ დაუტარებლობისა იმანაც ვერ განუმარტა პარლამენტს.

მიზეზი-კი მეტად სერიოზული აღმოჩნდა. იმის გამო, რომ ახალს შენობაში მრავალი სამექანიკო მოწყობილებაა, დირექციამ გადასწყვიტა წერილების გადამრჩეველთა რიცხვის შემცირება და 1,400 კაციდგან 1000-ის დატოვება. მაგრამ ამ ვაჟბატონებს დაავიწყდათ, რომ სამექანიკო მოწყობილებათ ჯერ კიდევ ადრესების კითხვა არ შეუძლიანთ, ამიტომ შეამცირეს-რა წერილების გადამრჩევთა რიცხვი, ამით, რასაკვირველია, მთელი საქმე შეაჩერეს და შეაფერხეს. არავინ უწყის, რითი ან როგორ გათავდებოდა ეს საქმე, ფოსტაში მოსამსახურეთ რომ არ განეცხადებინათ, პირს შევკრავთ და მუშაობას თავს დავანებებთ, თუ გადამრჩევთა რიცხვს არ მოუმატებთო; ახალმა დირექტორმა, ლორდმა ლონდონდერიმ, ძალის მოხმარება და მოსამსახურეთა შეშინება დააპირა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული გახდა დაეთმო და მოსამსახურეთა მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა. ეხლა საქმე ნელნელა დონეზედ დგება, თუმცა ჯერ კიდევ ამ კვირაშივე პროვინციალურ გაზეთების დეპუტაციამ სთხოვა დირექციას მიეღო შესაფერი ღონისძიებანი წერილებისა და დეპეშების დროზედ გზავნისათვის.

— ყველა ეს—შემომჩიოდა ერთი ხნიერი ინგლისელი, — როგორღაც ინგლისურს არა ჰგავს! ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით ჩვენის საქმიანობით. სხვაგანაც-კი გაგვივარდა სახელი, რომ ჩვენ პრაქტიკის, ანგარიშის ხალხი ვართ, ერთის სიტყვით, როგორც ნაპოლეონი ამბობდა, ჩვენი ერი მედუქნეთა, ვაჭართა ერია, რომელსაც იდეალების მაგიერობას ანგარიში უწევს. ეხლა-კი სჩანს, რომ იდეალები არ შეგვიქმნია; თუ რამ უმნიშვნელო იდეალი გვებადა, ისიც დავივიწყეთ; რაც შეეხება საქმიანობას... ღვთის გულისათვის, მიბრძანეთ, სად არის ეს საქმიანობა?—ჩვენი სამაგალითო ფოსტა ოსმალეთის ფოსტაზედ უხეიროდ სწარმოებს; ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მოსყიდვას არა თაკილობენ: თვით ჩვენი სახელმწიფო ჩაება ისეთ ომში, რომელმაც აუარებელი მამულიშვილი იმსხვერპლა, იმდენად ბევრი, რომ მათი რიცხვი ჩვენ წინააღმდეგ გამოსულ ბურების რიცხვს აღემატა. არა რაღაც უცნაური შეგვემთხვა. ნუ თუ გადაგვარების გზას დავადექით? ვინ იცის, იქნება ასეც იყოს...

ეს, რასაკვირველია, გაზვიადებულია; ხალხთა გადაგვარება, დედამიწის ზურგიდგან აღგვა აგრე ადვილი არაა. იშვიათი არ არის ხოლმე ისეთი ხანა, როდესაც საზოგადო საქმეებს უნიჭო და ანგარი კაცები განაგებენ; როდესაც პატიოსან კაცთა უმრავლესობა უმოქმედობით შებოჭილია... ვაი იმ საზოგადოებას, რომლის ცხოვრებაშიაც ასეთი ხანა ხშირი და ხანგრძლივია. მაგრამ ხალხი, მთლად ერი, ასეთ დროსაც გადაგვარებისაგან შორს არის. გავიხსენოთ მეოცე და მეორმოცდა-ათე წლების საფრანგეთი; გავიხსენოთ იტალია, რომელსაც თითქმის დამოუკიდებლობისათვის დიდებულ ბრძოლის წინა დღეს სიცოცხლის და წინსვლის ძარღვი სრულიად მოდუნებული და მოუძლურებული ჰქონდა.

ესევეა აწინდელ ინგლისშიაც: გადაგვარებაზედ ლაპარაკიც-კი არ შეიძლება. მაგრამ ის-კი ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადო საქმეებს უნიჭო და ანგარი კაცები განაგებენ. ამის უტყუარი დამასაბუთებელია, ჩვენ მიერ უკვე ნაამბობი, გაზეთებისა და საზოგადო დაწესებულებათა მოსყიდვის ისტორია და ის ათასგვარი ხრიკი, რომლის მეოხებითაც აწინდელი ომი მომზადდა.

როგორ მოხდა, რომ ინგლისში, სადაც იმ თავითვე საქმეებს საზოგადოებრივი აზრი განაგებდა, უნიჭო და ანგარმა კაცებმა ხელთ ჩაიგდეს საზოგადო საქმეებიო? ნება-უნებურად იკითხავს მკითხველი. მეც სწორედ ასეთის კითხვით მივმართე სხვა-და-სხვა დასის ინგლისელთ, და ბევრი საყურადღებო პასუხიც მივიღე.

თქვენის აზრით, რად აირჩია გლადსტონისა და ჰუმანისტთა დროის სალიბერალო ინგლისმა 1895 წელს, ე. ი. ჯერ ისევ დიდებულის მოხუცის სიცოცხლის დროს, ისეთი უნიჭო, რეაქციონური და ადვილად მოსასყიდელი პარლამენტი, როგორიც ეხლაა? მივმართე საერო სალიბერალო ფედერაციის თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ექმნებათ მოამზადონ პრაქტიკულად და თეორეტიულად სახალხო სკოლების მასწავლებლობისათვის ის ყმაწვილი კაცები, რომელთაც დაბალი განათლება მიუღიათ.

⁂ უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ ცალკე ეპარქიებში განკარგულება მოახდინა, სამღვდელოებამ დიდი ყურადღება მიაქციოს სასაფლაოების სისუფთავეს. სისუფთავის გარდა სამღვდელოებამ უნდა იზრუნოს დაქცეულის საფლავების, ღობეების, ან გალავნის შეკეთებისა, ხეების დარგვისა და სხვათათვის. ხარჯის დასაფარავად მღვდლებს შეუძლიანთ მიიწვიონ კერძო კაცები, საზოგადოებანი და სხვანი, ხოლო სადაც საჭირო იქმნება, იქ საეკკლესიო ფულის დახარჯვაც შეუძლიანთ.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე რამდენმამე ქალაქმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეთ მათ საქველმოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ განსაკუთრებული გარდასახადი დაადონ თეატრისა და ცირკის ბილეთებს. მაგრამ სამინისტრომ ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა და განმარტა, რომ ასეთის გადასახადის მოკრების უფლება მხოლოდ იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა უწყებასა აქვსო.

⁂ ქალაქის სულით ავად მყოფთა თავშესაფარის გამგე ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ამ თავშესაფარის შენობა ზოგიერთ ალაგას ისეთ ნაირად არის დახეთქილი, რომ შესაძლებელია ჩამოინგრესო და უბედურობა რამ მოხდესო; ამიტომ საჭიროა, თუ შეიძლება, მალე იქმნეს ეს შენობა შეკეთებულიო.

⁂ რადგანაც ხმა გავრცელდა, ვითომც გომბორის ხეობის სოფლებში სახადით ავადმყოფობა გაჩენილიყოს, თფილისის საგუბერნიო სამართველოს სამკურნალო განყოფილებამ მისწერა ტფილისის მაზრის მკურნალს დაათვალიეროს ეს ხეობა; ეხლა, როგორც მაზრის მკურნალი იწერება, მას თითო სახლი ცალცალკე შეუმოწმებია და არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა სახადით ავათმყოფობისა.

⁂ კავკასიის ოლქის სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორი მალინინი ტფილისში დაბრუნდა.

⁂ საბოლოვოდ გარდასწყდა, რომ რკინის გზის სახელოსნოებში ელექტრონის მოწყობილობა იქმნას შემოღებული.

⁂ რკინის გზების უმთავრესს სამმართველოს საჭიროდ უცვნია ყველა რკინის გზებზე სამარხი კასები დააარსოს მსახურთა და მუშათათვის.

⁂ როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები სწერენ, რკინის გზებზედ მსახურს მკურნალებს, ფერშლებსა და პროვიზორებს ამიერიდგან სამსახურის უპირატესობანი და უფლებანი ეძლევათ.

⁂ რკინის გზების უფროსთა კრებას დაუდგენია იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ ყველა რკინის გზებზედ კონდუქტორებისა და მოხელეების მოსამზადებლად კლასები იქმნას დაარსებული.

⁂ წელს ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში სწავლა დაუმთავრებია 32 ყმაწვილს; ამათგან 19 ქართველია.

⁂ საგუბერნიო ადმინისტრაციამ აუწყა ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მკურნალს გ. მაღალაშვილს 20 წლის სამსახურისათვის პენსიათ დაენიშნება 300 მან., რომელიდგანაც 174 მ. და 50 კ. ქალაქმა უნდა იხადოსო.

⁂ როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს კავკასიაში არსებული ნადირობის წესდება ადგილობრივ პირობათა მიხედვით შესცვალოს.

⁂ დასავლეთ რუსეთიდგან კავკასიაში მომავალ მგზავრთათვის ამიერიდგან რკინის გზის მატარებლები პირდაპირ ივლიან კავკასიიდგან ვოლჩისკ ოდესამდე.

⁂ ბელგიის უსახელო საზოგადოებას მიუმართავს თხოვნით ქალაქის გამგეობისათვის, ნება დაგვრთეთ რიყეზედ დროებით ფურგუნებისა, ურმებისა და ეტლების სიარული შეწყვეტილ იქმნეს, ვიდრე ამ ადგილას მიმავალ ტრამვაის ლიანდაგს ღარიანლიანდაგით შევცლიდეთო.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები სწერენ, რკინის გზებზედ სანიტარული ვაგონები თურმე შემოაქვთ. ეს ვაგონები იგივე მოძრავი ქსენონები იქნება, სადაც ავადმყოფისათვის პირველი შემწეობის აღმოსაჩენად ყოველივე მზად იქნება.

⁂ სპარსეთიდგან მოსულნი ამბობენ, რომ წელს იქ აბრეშუმის მოსავალი მეტად კარგი იყოო. საფრანგეთიდგან ვაჭრები კიდევაც მოვიდნენ პარკის სასყიდლადაო.

⁂ ქუთაისი. 10 აგვისტოს ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილზედ კენჭი იყარეს ძველმა თავმჯდომარემ ბ-ნმა გ. ფ. ზდანოვიჩმა და ინჟენერმა ბ-ნმა კალატოზიშვილმა. ბარათებით ბ-ნი ზდანოვიჩი დაასახელა 55 კაცმა, ხოლო კალატოზიშვილი 38 კაცმა. როცა კენჭი უყარეს, ბ-ნ ზდანოვიჩს ამოუვიდა 93 თეთრი და 55 შავი, კალატოზიშვილს 61 თეთრი და 87 შავი. ამ გვარად არჩეულ იქმნა გ. ფ. ზდანოვიჩი. მისს არჩევას საზოგადოება ოვაცებით მიეგება.

შავი-ქვის მრეწველთა წარმომადგენლად სამთო-სამაღნო სამმართველოს წევრობაზედ კენჭი იყარეს ბ-ნმა კარპე მოდებაძემ და გ. გ. ემერიკოვმა. ბარათებით მოდებაძე იყო დასახელებული 62 კაცისაგან, ემერიკი 22-საგან. ემერიკს ამოუვიდა 77 თეთრი და 70 შავი, ხოლო მოდებაძეს 74 თეთრი და 73 შავი.

ამ გვარად გ.ფ. ზდანოვიჩის მოწინაამდეგე მხარე დამარცხდა და ვერც ერთი თავისი კანდიდატი ვერ გაიყვანა, თუმცა არავითარი ღონისძიება და მეცადინეობა არ დაუკლიათ. აქ არ შემიძლიან არ მოვიხსენო ერთი ამბავი, რომელიც ზემოხსენებულმა დასმა ჩაიდინა. კენჭის დაწყებამდის ორმა კაცმა, რომელნიც მხრებში შესხდომოდნენ მოხუცებულს ფეხ-მოტეხილს კაცს, კრების დარბაზში შემოიყვანეს. სიმწვავისაგან საშინლად იტანჯებოდა უბედური მოხუცი და ამბობდა არ შემიძლიან, ბატონო, სცენაზედ ამოსვლაო, მაგრამ ამას ყურადღება არ მიაქციეს ამ ვაჟბატონებმა და ასე საცოდავად აიტანეს ეს ცოცხალ-მკვდარი კაცი სცენაზედ, სადაც ყუთები იდგა და კენჭი ჩააგდებინეს; მაგრამ ამით მაინც ვერას გახდნენ. ამ სცენამ მეტად ცუდად იმოქმედა დამსწრე საზოგადოებაზედ.

11 აგვისტოს კენჭი უყარეს საბჭოს წევრთ და მათს კანდიდატებს. საბჭოს წევრებად ამორჩეულ იქმნენ თ. სოლ. ლეონიძე, გ. გ. ემერიკი, გ. ცერცვაძე და ავგერინო. ხოლო კანდიდატებად ბ-ნნი ი. გამყრელიძე, თ. ი. ნიჟარაძე და ვიკენტი ქუთათელაძე. ამ რიგად ვერც ამ არჩევანებში გაიმარჯვეს საბჭოს მოწინაამდეგეებმა.

11 აგვისტოს შავი-ქვის მრეწველებმა სადილი გამართეს და მოიწვიეს ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი, კრების თავმჯდომარე მ. ი. ჩენგერი და სხვა საპატიო კაცნი.

⁂ ცხინვალის სოფლის მკურნალი ატყობინებს ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს სამკურნალო განყოფილებას, რომ გორის მაზრის სოფელ ვაჟაში ივლისის პირველ რიცხვებიდგან ყვავილით ავადმყოფობა გაჩენილა, რომლითაც დღემდის ავად გამხდარა სულ 32 ბავშვი; ამათგან გ დაცვლილა 8 სული, ეხლაც ავად არიან, ხოლო დანარჩენნი უკვე გან ვისუფლდნენ ავადმყოფობისაგანო.

ამავე მაზრის სოფელ ორტე ივლისის 20 რიცხვიდგან მუცე გაჩენილა, რომლისაგანაც ავად გამხ რა 10 კაცი; ამათგან გარდაცვლი 2, ავად არის სამი, ხოლო დანარჩენ მორჩენილან. სათანადო მთავრობისა საჭირო ღონისძიებანი უკვე მიღებულ ავადმყოფობის მოსასპობად.

⁂ შაბათს, 12 აგვისტოს, პოლიცი მესამე ნაწილში გამოცხადდა ტფილი მეორე გილდის ვაჭრის მეუღლე ანნა კოლოზის ასული მერკვილაძისა და განაცხ და, რომ გიორგის ქუჩაზედ არჯევანიძ სახლებში ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ღ მით გაუტეხნიათ მისი სამკერვალო-სახელო სნო, საიდგანაც მოუპარავთ სხვა-და-სხ აბრეშუმეულობის ქსოვილები და შეკერი ლი ტანისამოსი, სულ 280 მანეთისა. ეჭ არავისზედ არა აქვთ. პოლიციამ საჭირო ზ მები მიიღო ქურდებისა და მოპარულ ნ თების აღმოსაჩენად.

⁂ შაბათს, 12 აგვისტოს, პოლიცი მე-6 ნაწილში ვარანცოვის ქუჩაზედ წა ჩხუბნენ სპარსეთის ქვეშევრდომნი მამე ალა-აბას-ოღლი და მამედ-გაჯი-მამედ-უსე ოღლი, რომლის დროსაც მეორემ პირველ დანით დასჭრა ყბაში. დაშავებული მიხ ილის სამკურნალოში გაგზავნეს, ხოლო დ მნაშავე უსეინ-ოღლი დააპატიმრეს.

ჭიათურის შავიქვის მრეწველთ მესამე მორიგი კრება.

31 ივლისი

თავმჯდომარე. შაბათს, კრება რო გათავდა, კრების ერთმა წევრმა მაცნობა, რომ საბჭოს მიერ შედგენილ კრების წევრთა სიაში შეცდომებია, რადგან ამ სიაში მოხსენებულია ბევრი იმისთანა პირი, რომელიც, თუმცა შავ ქვას აწარმოვებდა, მაგრამ მთავრობისაგან ნებართვა არა ჰქონდა აღებული. ეს განცხადება სამართლიანი ყოფილა, რაიცა დაამტკიცა ოლქის სამთო ინჟენერმაც. ამის გამო მე ვსთხოვე ბ-ნ ოლქის ინჟინერს და საბჭოს,

მარეს დოქტორს სპენს ვატსონს. მოხუცმა, მოფიქრების შემდეგ, წყნარად, სვენებ-სვენებით დაიწყო:

— მაგის მიზეზი ბევრია, მაგრამ მე სამს უახლოვეს და უმთავრესს მიზეზს დაგისახელებთ: ჩვენ დავკარგეთ კათოლიკები, ებრაელები და შეძლებული მუშები; აღარც პირველნი, აღარც მეორენი და აღარც მესამენი აღარ გვიჭერენ მხარს.

— რა აქვს საერთო კათოლიკებს ებრაელებთან? უფრო ნაკლებ კავშირსა ვხედავ იმათსა და მუშებს შორის.

— საქმე აი როგორაა: პირველსა და მეორე საპარლამენტო რეფორმამდე კათოლიკები, ებრაელები და მუშები ბევრად იყვნენ შევიწროებულნი. ასე გასინჯეთ, ამომრჩევლობის უფლება დიდ სამრეწველო და მდიდარ ქალაქების მუშებსაც კი არა ჰქონდათ. იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ჩვენ, ლიბერალები, რეფორმისათვის ვიბრძოდით, და აგრეთვე პირველ ოც წელიწადს ამ რეფორმის განხორციელების შემდეგ, კათოლიკები, ებრაელები და მუშები ჩვენსკენ იყვნენ და ჩვენ კანდიდატებს ემხრობოდნენ. მაგრამ გავიდა რამდენიმე წელიწადი. ცხოვრებამ ახალი მოთხოვნილებანი წინ წამოაყენა. როგორც პროგრესიული დასი, იგი დროსა და იმის მოთხოვნილებას არ უნდა ჩამორჩენილიყო. მრავალ სხვა ახალ საგანს შორის სასკოლო რეფორმის საქმეც ერია. ჩვენი დასი იმ აზრისა იყო, რომ სკოლაში საღმრთო სჯულის სწავლება განსაზღვრული ყოფილიყო მხოლოდ სახარებისა და ძველის აღთქმით, რათა არ შეურაცხ ეყო სარწმუნოებრივი გრძნობა სხვა და სხვა ეკკლესიისა და მოძღვრების მიმდევართა. რაც შეეხება საეკკლესიო წესებსა და კატეხიზისებს, ჩვენის დასის აზრით, ამის სწავლება ეკკლესიებისა და დედ-მამის საქმე უნდა ყოფილიყო. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, საზოგადო ბიუჯეტიდგან მისცემოდა შემწეობა იმ სკოლებს, რომლებსაც სხვა და სხვა ეკკლესიის სამღვდელოება ინახავს. კონსერვატორებმა, პირ იქით, მხარი დაუჭირეს კათოლიკეებს და დაადგინეს, იმ სკოლებს, რომლის მასწავლებლებსაც ეპისკოპოსები აძლევენ თვალ-ყურს, შემწეობა დაენიშნოთ საზოგადო ბიუჯეტიდგან. კათოლიკეთა სამღვდელოება ამის გამო კონსერვატორებს მიემხრო. ხოლო თქვენ უთუოდ კარგად უწყით, სამღვდელოებას რა გავლენა აქვს კათოლიკეებზედ. აი, ამ მიზეზისა გამო დაჰკარგა ჩვენმა დასმა კათოლიკენი; უკანასკნელ არჩევანების დროს ისინი კონსერვატორებს მიუდგნენ.

კონსერვატორთავე მიემხრნენ 1895 წლის არჩევანების დროს ებრაელები, რადგანაც ჩვენ, ლიბერალები, წინააღმდეგნი ვიყავით ძალმომრეობისა ბოერების მიმართ და ტრანსვაალისა დ ორანჟეს რესპუბლიკებთან დღევანდელ სამარცხვინო ომის დაწყებისა. ხოლო შემთხვევისა თუ სხვა მიზეზისა გამო ებრაელებმა ეკშტეინისა, ბარნატოსი, როდსისა და სხვათა მძარცველთა საქმე თავიანთ საერო საქმედ ჩასთვალეს. ამიტომ სრულიად მოულოდნელად გადაგვიდგნენ და კონსერვატორებს მიემხრნენ... რაც შეეხება შეძლებულ მუშებს, იმათ მხარი...—სოციალისტებს დაუჭირეს განა? გავაწყვეტინე.

— ნეტავი აგრე ყოფილიყო! არა, ეს მუშებიც იმავე კონსერვატორებს ამოუდგნენ გვერდში. არც საკვირველია. მდიდარი ქარხნის პატრონნი და მრეწველნი, პირველი კაპიტალისტნი თუ ოდესმე ლიბერალებთან ერთად ჰმოქმედებდნენ, მუშათა მოძრაობის განვითარების შემდეგ ყველანი კონსერვატორებს მიემხრნენ. ჩვენს კონსერვატორებს უწინდელ ტორიებ—მემამულეებთან საერთო აღარა აქვთ-რა, ეხლა ეს კონსერვატორები მსხვილ კაპიტალისა და მდიდარ მემამულეთა კავშირს წარმოადგენენ. ამ რიგად მდიდარი მექარხნენი და მრეწველნი, რომელთა ქარხნებსა და ფაბრიკებშიაც მომუშავე ხალხი ლუკმა პურს ჰშოულობს, კონსერვატორებს ამოუდგნენ; ხოლო იმათთან ერთად ამ ქარხნების მოსამსახურეებმა და მუშებმაც ზურგი იბრუნეს და ყოველ რადიკალისა და სოციალისტის წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება.

მოხუცის სიტყვებმა ძალიან გამაკვირვა. მანამდე ვფიქრობდი, რომ მუშათა თვით-ცნობიერება ძალიან არის ინგლისში განვითარებული მეთქი.

— ეგ აგრეცაა, თვით-ცნობიერება მუშათა შორის საკმაოდაა განვითარებული. მაგრამ ქარხნებისა და ფაბრიკების, ან დიდის სამრეწველო ამხანაგობის წინააღმდეგ მოქმედება და იმათის კანდიდატების გაშავება სამუშაოს, ლუკმა-პურის დაკარგვას მოასწავებს; ასეთი საქმე სამოქალაქო გმირობაა. ამიტომ არც ვამტყუნებ მუშებს,—დაამთავრა სპენს ვატსონმა;—გაჭირვებულთ და სხვისა მორჩილებაში მყოფთ-კი არ უნდა მოვთხოვოთ თავის განწირვა, ჩვენ უნდა მოვიდეთ მათდა საშველად; და ეს იცოდეთ, რომ, ასე თუ ისე, ჩვენ ვეცდებით ამ შველას, ამ დახმარებას. ჩვენი დასი ან სრულიად მოისპობა, გაუქმდება, ან არა და, იმ გზას დაადგება, რომელიც აღნიშნა გლადსტონის შემდეგ საუკეთესო მოღვაწემ—ჯონ მორლეიმ, სახელდობ: სოციალურ რეფორმათა დასად გადაიქცია.

მეორე, ვისაც აწინდელ კრიზისის გამო შევეკითხე, იყო რადიკალურ მიმართულების ჟურნალისტი, უკვე ხნიერი და პოლიტიკაში დიდად გამოცდილი კაცი.

— გსურთ გაიგოთ, პროგრესიული საზოგადოება უმცირესი რად აღმოჩნდა? ჩვენი დაბალი და საშუალო წოდებანი ჩემბერლენისა და როდსის სომხრეები რისთვის გახდნენ? იმიტომა, რომ ჩვენი ჟურნალები და გაზეთები, ჩვენი ილიუსტრაციები აი ეს ათი წელიწადია გზა-კვალს უბნევენ და ჰრყვნიან საზოგადოებრივ თვით-ცნობიერებას, სინიდისს; აიღეთ ჩვენი ილიუსტრაციები. რასა ვხედავთ იქ? დიდებულ მხატვართა სურათებიდგან გადმონაღებსა, ან ნიჭიერთა ნაწარმოებს?—არა და არა. ილიუსტრაციები სავსეა ზანგებთან, არაბებთან, ინდიელებთა ომების სურათებით. მატაბელებისა, დერვიშებისა და სხვა ამ გვარ ხალხთა ჟლეტა-ხოცვა, აი რაგვარის სურათებითაა სავსე ილიუსტრაციები. თუ ხოცვა-ჟლეტა არსადაა, მაშინ ჟურნალების შინაარსს ჯარების ვარჯიში და ალბუმები შეადგენს.

ვ. მარველი

(შემდეგი იქნება

სია შეემოწმებინათ, შეესწორებინათ და ასე წარმოედგინათ. ამის გამო კენჭის ყრა იმ კითხვების გადასაწყვეტად, რომელნიც კენჭის ყრას მოითხოვს, უნდა გადიდვას იმ დრომდე, ვიდრე ეს სია არ შესწორდება.

ქვარიანი ს. ა. მე მსურს დავეკითხო საბჭოს, სია ვისი შედგენილია?

თავმჯდომარე. თქვენი კითხვა აქ უადგილოა.

ქვარიანი ს. ა. გთხოვთ, ამიხსნათ და გამაგებინოთ, ოლქის ინჟენერს ან რომელსამე მოსამსახურე კაცს აქვს უფლება მუშაობის ნება მისცეს იმას, რომელსაც ამის უფლება არ მოუპოვებია? სია კრების წევრთა შედგენილია ოლქის ინჟენერის და საბჭოს მიერ?

თავმჯდომარე. მე თქვენ გიმეორებთ, რომ თქვენს სიტყვას არა ვითარი კავშირი არა აქვს საკამათო საგანთან. თუ კიდევ ჯიუტობას დაიწყებთ, იძულებული ვიქნები ლაპარაკის უფლება ჩამოგართოთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი. თუ ჩემს პროექტს ფორმალურის მხრივ შეხედავთ, ვგონებ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ აწ არსებულ გადასახადს ემატება მხოლოდ $^1/_8$ კაპ.; ხოლო სამინისტრო ნებას აძლევს კრებას, ფუთ მადნის გადასახადი $^3/_4$ კაპეიკამდის მიიყვანოს, ამაზე უკეთესი დრო ამ გადასახადის მომატებისათვის კრებას არ ექნება. ის შენიშვნები, რომ ზოგიერთ შავი ქვის მწარმოებელს წინადღით თუ აქვს მადანი გაყიდული და ამ მომატებით ზარალი მიეცემათ, მართალია, —მაგრამ ამ ჩივილს ჩვენ ვერაოდეს ვერ ავცდებით, რადგან ისინი მადანს ყოველთვის წინა დღითვე ჰყიდიან. როცა ამ საგნის შესახებ საბჭოში გვქონდა ლაპარაკი, ერთი წევრი საბჭოსი ჩემის წინადადების მომხრე იყო, ხოლო ორი წინააღმდეგი, ასე რომ იურიდიულად ხმის უმეტესობა ჩემს მხარეზედ იყო, მაგრამ მე არ ვისარგებლე ჩემის უფლებით, ვითარცა საბჭოს თავმჯდომარისა, და მოხსენება წარმოვუდგინე კრებას საკუთარის ჩემის სახელით და არა საბჭოსით. ჯერ კიდევ კრებამ 1896 წ. იშუამდგომლა ამ გადასახადის გადიდებისათვის, ასე რომ ეს შუამდგომლობა ახალი არ იქნება არც სამთო დეპარტამენტისა და არც სამინისტროსთვის. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ვითომც ბიუჯეტის საფუძვლად უნდა ითვლებოდეს შეძლება, და არა საჭიროებანი, როგორც აქ იყო ნათქვამი, ამისთანა გარემოებას ადგილი აქვს მხოლოდ კერძო ოჯახობაში; არც ერთი ფინანსისტი ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს არ იხელმძღვანელებს მარტო იმ საშუალებებით, რაც ხელთ აქვს. ჯერ ცნობაში მოიყვანენ საჭიროებას და შემდეგ მოსძებნიან საშუალებებს ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, თუ კი ეს შესაძლებელია. იქმნება ზოგიერთს ჰგონია, რომ მეხანიკური დაღმართები, ელექტრონული განათება, ტელეფონი, მუშების დაზღვევა, სამკურნალო და სხვა საჭირო არ იყოს. მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებას, რომ საბჭომ თუ ეს წინადადებანი წარმოგიდგინათ, წარმოგიდგინათ იმ ანგარიშითა და მოსაზრებით, რომ თითონ ეს იმდენს შემოსავალს მოგვცემს, რომ ხელს არ გვახლებინებს საზოგადო შემოსავლისათვის. რაიცა შეეხება იმ გარამოებას, თუ როდის შევიდეს ძალაში გადასახადის მომატება, მე იმ აზრისა ვარ, რომ ეს გარდაწყვეტილება მოვიყვანოთ სისრულეში ერთის ან წლის ნახევრის შემდეგ, რომ ექსპორტერებს არ მიეცეს დიდი ზარალი, თუმცა, ჩემის აზრით, ეს დამატებული გადასახადი დააწვება უცხო ქვეყნის ვაჭრებს და არა ჩვენებურებს, როგორც ამას ბევრი ჰფიქრობს.

ჭაჭანიძე პ. ი. ეს გარდასახადი უნდა მოემატოს მარტო იმ მწარმოებლებს, რომელნიც სარგებლობენ კრების საზოგადო საშუალებით. სახეში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ ჰიათურის რაიონი.

გ. ფ. ზდანოვიჩი. მოხსენებას სახეში აქვს სადგური ყვირილა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ყვირილიდგან გატანილი შავი-ქვა ჰიათურისაა.

კარ. მოდებაძე. მე როგორც ვხედავ, გარდასახადის მომატების წინააღმდეგნი ექსპორტერები არიან და ის ჯოხი, რომლის შესახებ წელან ერთი ექსპორტერი ლაპარაკობდა, ორივე წვერით იმათ სცემს. რადგან ჩვენ ბევრი აუცილებელი საჭიროება გვაქს, მოუმატოთ გადასახადს და ერთ კაპეიკამდის ავწიოთ იგი.

თავმჯდომარე. შენიშნავს, რომ ბაასი მხოლო იმის შესახებ შეიძლება, რო გადასახადმა მოიმატოს $^3/_4$ კაპეიკამდე.

თ. პ. გ. წულუკიძე. მე ვურჩევ კრებას კომისია ამოირჩიოს, რომელიც საფუძვლიანად გაეცნობა შავი-ქვის მრეწველთა სხვა და სხვა საჭიროებასა და საშუალებას, ვიდრე ასე არ მოვიქცევით, მომატება გადასახადისა არ იქმნება დაფუძნებული ჭეშმარიტ ფაქტებზედ, გირჩევთ ამ საქმეში წინ დახედულად და ფრთხილად მოიქცეთ.

ბაქრაძე გ. დ. ვინაიდგან ამ საკითხის შესახებ ხმები გაიყო, ამის გამო მისი გადაწყვეტა გადაიდოს იმ დრომდის, ვიდრე ვექილობები შემოწმდება.

ქვარიანი ს. ა. $^3/_4$ კაპ. დიდი გადასახადი არ არის. ნულარ დავახანებთ მის დაწესებას. გირჩევთ, მომავალ პირველ იანვრიდგან მოვუმატოთ გადასახადს.

თავმჯდომარე. ეს საკითხი გადავწყვიტოთ მაშინ, როცა ვექილობები შემოწმებული იქმნება.

კრება ეთანხმება ბ-ნ თავმჯდომარეს და იწყებს ბაასს პროგრამის მე-18 მუხლის შესახებ, ე. ი. „შავი-ქვის გაზიდვას ხომ არ აბრკოლებს რამე—ან რკინის გზისა, ან ფოთის ნავთსადგურის მხრივ“.

კარპოვი მ. ა. (რკინის გზის მმართველობის წარმომადგენელი), სასურველია გავიგოთ თითონ შავი-ქვის მრეწველთაგან, რა უფრო ეჭირვებათ, და რა ჰსურთ იმათ, რომ რკინის გზამ აუსრულოთ. რკინის გზა შავი ქვის წარმოებაში თითონაც ძალიან დაინტერესებულია და სცდილობს ყოველნაირი ღონისძიება იღონოს და დახმარება აღმოუჩინოს. რკინის გზის მმართველობამ უკვე გააკეთებინა კოლომენის ქარხანაში ექვსი ორთქლ-მავალი, ორი კიდეც მოგვივიდა, მაგრამ ჰიათურის გზისთვის არ გამოდგა. ისინი გავგზავნეთ უმთავრესს სახელოსნოში. რაიცა შეეხება ვაგონებს, 55 ვაგონი უკვე მზად არის და 60 კიდევ მალე მოგვივა. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჰიათურის გზაზედ ყოველ დღე 180 ვაგონს [illegible], მაგრამ 150-ზე მეტი არ მოხ[illegible]ა.

თ. პ. გ. წულუკიძე. რადგან რკინის გზას ორთქლ-მავლები და ვაგონები საკმაოდ არა ჰქონდა, შავი ქვის მრეწველნი იძულებულნი იყვნენ მადანი ეზიდნათ ურმებითა და ცხენებით. ამას კიდევ შევურიგდებოდით, რომ რკინის გზა საწყობ ადგილებს გვაძლევდეს, თუმცა ამას თავისუფალი ადგილი ბევრი აქვს. ყველა ეს გარემოება ხელს გვიცარავს და საქმის გაკეთება გვიანდება. დიდი ხანია ვთხოვეთ რკინის გზის გამგეობას, რომ შორაპნის სადგურზედ ხონჩები გაეკეთებინა, მაგრამ სულ რვა თვე არ იქნება, რაც ჩვენი თხოვნა ასრულდაო.

თავმჯდომარე საკამათო საგნად აცხადებს პროგრამის მეცხრე მუხლს, ე. ი. „გაყვანა გზა-ტკეცილებისა და გაუმჯობესებულ მისავალ გზებისა: მავთულის გზებისა და მეხანიკური მოწყობილებისა შავი ქვის საზიდავად მადნებიდგან“.

გ. ფ. ზდანოვიჩი. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ჩვენის მრეწველობის გასაუმჯობესებლად და გასადიდებლად ფრიად საჭიროა გზების გაუმჯობესობა. თითქმის ყველა აწ არსებული გზა ითხოვს შეკეთებას და მრავალი ახალის გზის გაკეთებაც დაგვჭირდება. თავდაპირველად ჩვენი ფიქრი ის იყო, რომ ყველგან გზა-ტკეცილი გაგვეკეთებინა, მაგრამ როცა ქუთ. გუბერნიის სამმართველომ შეადგინა ამის ხარჯთ-აღრიცხვა და ამ ანგარიშით 33 ვერსის გაკეთება გვიჯდებოდა ექვსას ათას მანეთად და ეს ფული უნდა დაგვეხარჯა ერთხანად, რომ, მეორე კრების დადგენილების თანახმად, გზები ყოფილიყო გაკეთებული ყველა მადნებისაკენ ერთ დროს, ხოლო კრებას ამოდენა ღონისძიება არა ჰქონდა და ვერც ვალად იშოვიდა, რადგან გზების შემოსავალი ვერაფერი სათავმდებო იქნებოდა, —აი ყველა ამ მოსაზრებამ სხვა ფიქრზედ დაგვაყენა. საბჭო მეხანიკურ დაღმართების გაკეთებასა ჰფიქრობს; თუმცა ამ დაღმართების გაკეთება ჩვენ ერთი ორად და ერთი სამად დაგვიჯდება, ვიდრე დაგვიჯდებოდა გზა-ტკეცილი, მაგრამ ეს საქმე ჩვენ მიგვაჩნია შემოსავლიან საქმედ. თუ კრება ამისთვის სესხის აღებას მიჰმართავს, არაფერს წააგებს, რადგან ეს საქმე იმდენს შემოსავალს მოგვცემს, რომ ვალის გასტუმრებასაც გაუძლევს და საზოგადოდ ჩვენს შემოსავალსაც მოემატება. ამ მოსაზრებით ჩვენ მოვიწვიეთ ინჟინერი ბ-ნი მიხაილოვი, რომელმაც შეგვიდგინა მეხანიკური დაღმართების და ელექტრონით განათების პროექტი. იქნება ზოგიერთმა თქვენგანმა იფიქროს, რომ ჰიათურასთვის ელექტრონით განათება რა საჭიროაო, ეს ხომ მისთვის ფუფუნება იქმნებაო, მაგრამ, თუ საქმეს დაუკვირდებით, ეს ასე არ გეჩვენებათ. ასეთი განათება დღეს ჰიათურის მადნებისთვის თითქმის აუცილებელი საჭიროებაა. დღეს მადნების გვირაბებში, საიდგანაც მუშებს შავი ქვა გამოაქვთ, ისეთი კვამლი დგება ლამპრებისაგან და ისეთი მძიმე და გაფუჭებული ჰაერი ტრიალებს, რომ არ შეიძლება ცუდად არ იმოქმედოს მუშათა ჯანმრთელობაზედ. თუ ელექტრონული განათება გვექნება, ცხადია მოისპობა ეს კვამლი. მართალია, ელექტრონულ განათებას ხარჯი ბევრი უნდა და თითონ ეს საქმე ვერ გასცემს პასუხს ამ ხარჯს, მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მეხანიკურ დაღმართების შემოსავლიდგან დაიფარება ეს მეტი ხარჯი: ბევრი ეჭვის თვალით უყურებს ამ საქმეს, მაგრამ ეს ეჭვი უსაფუძვლოა. მე გთხოვთ, ვიდრე ბ-ნი მიხაილოვი წაიკითხავდეს თავისს მოხსენებას, გამოსთქვათ თქვენი შეხედულება; წინააღმდეგი ხართ მისის მოწყობისა, თუ თანაუგრძნობთ?

გ. გ. ემერიკი. მე წაკითხული მაქვს ბ-ნ მიხაილოვის პროექტი. პროექტი წინააღმდეგია არსებულ კანონდებულებისა, რადგან იგი გამოანგარიშებულია კერძო საკუთრების ჩამორთმევაზედ. რაიცა შეეხება პროექტის ტეხნიკურ მხარეს, არც ამ მხრით არის იგი მოსაწონი. ბ-ნი მიხაილოვი ჰფიქრობს მავთულის გზის გაკეთებას, რამოლიც გაცილებით მდარეა სხვა გვარ მეხანიკურ გზებთან შედარებით. ამგვარ მეხანიკურ გზის გაკეთებას ხელს არ უწყობს არც მდებარეობა ჰიათურისა. თუ კრება გადასწყვეტს მეხანიკურ გზების გაკეთებას, ნუ მისცემს უპირატესობას ერთ რომელსამე გვარის გზას. მე წინააღმდეგი ვარ იმ გარდაწყვეტილებისა, რომ კრების საშუალებით გაკეთდეს ეს გზები. ნურც ვისმე კერძო კაცს ავუკრძალავთ თავისის საკუთარის ხარჯით გააკეთოს გზები, თუ კი ამას მოახერხებს. ნუ მივანდობთ ამ გზების გაკეთებას საბჭოს, რადგან საბჭოს არა აქვს იმდენი დრო, რომ ამ რთულ საქმეს გაუძლვეს.

თ. პ. გ. წულუკიძე. კარგი იქმნებოდა თითონ პროექტი წაგვეკითხა.

თავმჯდომარე. შენიშნავს ბ-ნ ემერიკს, რომ მიხაილოვის პროექტში სრულებითაც არ არის მოხსენებული კერძო საკუთრების ჩამორთმევა.

ინჟ. მიხაილოვი. ტეხნიკურ მხარეზე აქ ნუ დავიწყებთ ბაასს, ამისთვის საჭიროა სპეციალური დაწვრილებითი ცოდნა ყოველ გვარის მეხანიკური გზებისა.

აქ მოკლეთ გადასცა ბ-ნ მიხაილოვმა საზოგადოებას შინაარსი თავისის მოხსენებისა და დაუმტკიცა უპირატესობა მავთულის გზისა სხვა გვარ გზების წინაშე. ამასთან ისიც მოიხსენია, რომ ეს გზა სასარგებლო იქნება როგორც შეძლებულ მრეწველთათვის, ისე შეუძლებელთათვის. თუ ვისმე ზარალი მოუვა, ეს ჩარვადრებია, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც ისინი თავს დაანებებენ ჩარვადრობას, როცა კერძო მრეწველი გამართავს ამ მეხანიკურ გზებსო.

კრება გადაიდო მეორე დღემდე.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ხერთვისი (ახალქალაქის მაზრა). ახალციხიდგან ორმოცდა მესამე ვერსზედ, სადაც მდინარე თაფარავანი და მდ. მტკვარი ერთმანერთს ერთვიან, ძევს სოფ. ხერთვისი. ეს სოფელი უთუოდ მგზავრის ყურადღებას იპყრობს თავისის მშვენიერის მდებარეობით, ბაღებ-ბოსტნებით, განსაკუთრებით-კი ძველის ციხით და მშვენიერის სკოლის შენობით. სოფ. ხერთვისში სცხოვრობს ორას ათი კომლი მაჰმადიანი სუნითის სარწმუნოებისა, რომელთაგანაც ამათში ერთი მესამედი ქართველი მაჰმადიანები არიან: ვაჩნაძე, მახაბელი, თულაშვილი, კუჭაიძე, კომურაძე, ტალახაძე და სხვ. უმთავრესს წყაროს ხალხის ცხოვრებისას მებაღეობა-მებოსტნეობა შეადგენს. ოცდა-ათ წელიწადზედ მეტი იქმნება, რაც აქ ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ხალხი ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია სკოლას და გულ-ცივად უყურებს როგორც სკოლას, ისრე მასწავლებელს.

ხალხი იქამდის გამსჭვალულია თავიანთ ფანატიკოსობით, რომ იგი არჩევს თავისი შვილი სასწავლებლად სასყიდლით მოლებს მისცეს (ამ ჟამად მართალია მთავრობა უკრძალავს მოლებს სკოლების გახსნას, მაგრამ სოფ. ხერთვისში მაინც კიდევ არსებობს ორი მოლის თაოსნობით ჩუმი სკოლა), და იშვიათად იქნება ისეთი წელიწადი, რომ სკოლას, სადაც უკლებ სასწავლო ნივთებს უფასოდ აძლევენ, ოცდა-ათზე ანუ ორმოცზედ მეტი მოსწავლე ჰყავდეს, მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლე თახა მამრობითის სქესისა ორასსაც აღემატება მარტო ამ სოფელში. სოფლის შესავალთანავე, მდ. თაფარავანის პირზედ, კლდეზედ გაშენებულია ციხე, რომელსაც მეთოთხმეტე საუკუნეში აშენებულს ამბობენ. ამ ხნის განმავლობაში იგი შეურყევლად და ხელუხლებლად იდგა, მაგრამ ამ რამდენისამე წლის წინად დაუწყვიათ ციხის გალავნის ნგრევა და მასალით თავიანთ სახლების შენება. ამ ათის წლის წინად თითონ ციხის კედლებზედ დაუწყვიათ სახლების მიდგმა. ამ გარემოებისათვის იმ დროს მაზრის უფროსად მყოფს ბ. ტარასოვ-დიაჩკოვს ყურადღება მიუქცევია, დაუნგრევია სახლი, რომელსაც თურმე აშენებდნენ და პატრონიც რამდენისამე დღით დაუპატიმრებია, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ სასტიკს განკარგულებას ხალხზედ მხოლოდ ერთს თუ ორს წელიწადს უმოქმედნია და ამის შემდეგ არამც თუ გალავანი, კოშკებიც-კი სახლებათ გადაუკეთებიათ. ესეც არ იკმარე'ს თურმე და ერთმა მათგანმა, საკმაოდ შეძლებულმა გლეხმა, გვარად აბდურაზახ-ოღლი კუპეცოვმა, ამ ექვსის წლის წინად შიგ შუაგულ ციხეშიც თურმე დაიწყო ცალ მხარეზედ ბოსლებ-ამბრების შენება, ხოლო მეორე მხარე, სადაც ეკკლესიის საკურთხეველია დარჩენილი, სათივეთა და წვის მოსამზადებელ საქონლის პატივის დასაყრელად თურმე გახადა. ამ ჟამად შიგ ეკკლესიის ნანგრევში თივა სდგას და გარშემო უწმიდურობით არის სავსე. ეხლა კუპეცოვი ისრე გაბატონებული, რომ სახლის ასაშენებლად-კი არა, სანახავათაც კი აღარავის უშვებს.

საყურადღებოა ვიცოდეთ, ნუ-თუ ამის ღირსნი არიან ჩვენი ძველი სასიქადულო ეკკლესიები და ციხეები, ან უფლება არავის აქვს შეუგნებელი თავხედობა ასეთი ალაგმოს როგორმე და თუ გამშვენიერება არა, წმინდად დაცვა და შენახვა მაინც არის აღირსონ! იმედია, თუ სხვა არავინ, ადგილობრივი ბლაღოჩინი ხახუტაშვილი მაინც ამას იკისრებს და იშუამდგომლებს, ვისგანაც ჯერ არს, რომ გაბატონებულს კუპეცოვს ასეთი უმართებულობა აეკრძალოს.

მასწავლებელი ხერთვისის სკოლისა
გიგო შატბერაშვილი.

რუსეთი

ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე შეუმუშავებიათ პროექტი იმისა, თუ წოდებათა საქმეში რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი. ამ დღეებში ეს პროექტი დაეგზავნება სხვა უწყებათ მათ-და გასაცნობად და შემოდგომაზედ სახელმწიფო საბჭოში იქმნება წარდგენილი მისდა გარდასაწყვეტად. პროექტის უკანასკნელ რედაქციით გლეხთა წოდება ხელ-უხლებლად რჩება და გლეხებს ისევე დატოვებული ექმნებათ თავიანთი გამგეობა, ხოლო ადგილობრივ მკვიდრთა (МѢЩАНЕ) და ხელოსანთა წოდებანი-კი გაუქმებული იქმნება და იმათ ნაცვლად შესდგება ახალი წოდება ქალაქის მკვიდრთა. ხელოსნებსა და ადგილობრივ მკვიდრთ ნება მიეცემათ მიეწერნენ ან ამ ახალს წოდებას, ან გლეხთა საზოგადოებას. ის ხელოსანნი და ადგილობრივნი მკვიდრნი, რომელნიც სოფლადა სცხოვრობენ და მიწათ-მოქმედებას ადგიან, სოფლის საზოგადოებაზედ იქმნებიან მიწერილნი, ხოლო ამათ შთამომავლობით ექმნებათ შერჩენილი ის უპირატესობანი, რომლითაც ეხლა განსხვავდება ადგილობრივ მკვიდრთა და ხელოსანთა წოდება გლეხთაგან, სახელდობრ, სოფლის გამგეობას უფლება არ ექმნება ისინი წკეპლით დასაჯოს. რაც შეეხება იმ ებრაელებს, რომელნიც დაბებში სცხოვრობენ, რადგან ისინი მიწათ-მოქმედებას არ მისდევენ, ამიტომ სოფლის საზოგადოებაზედ არ იქმნებიან მიწერილნი, არამედ მახლობელ ქალაქის მკვიდრად ჩაირიცხებიან. ადგილობრივ მკვიდრთა და ხელოსანთა წოდებათა გაუქმების შემდეგ ზრუნვა ამ წოდებათა წევრების თავ-შესაფარისა და წამლობისათვის დაეკისრება ქალაქის საზოგადო თვითმართველობას და ამიტომაც ამათი თანხები, სამკურნალოები და თავ-შესაფარები ქალაქს გარდაეცემა. პროექტი არ აუქმებს აწინდელს ხელოსანთა ამქრებად დანაწილებას, ამქრები ისევე იქმნება, მხოლოდ წოდებრივი ხასიათი ჩამოერთმევა და მხოლოდ ხელოსანთა კრებულის მნიშვნელობა შერჩება. ამ კრებულს უფლება ექმნება ხელოსანთა შორის ფული მოჰკრიბოს ხელოსნობის განვითარების სასარგებლოდ.

— ფინანსთა სამინისტროს განკარგულებით, სექტემბრის პირველ რიცხვებში პეტერბურგში იქმნება მოწვეული რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლების სატარიფო კრება.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე გარდაუცია სამკურნალო დეპარტამენტისა და მის ქვემდებარე დაწესებულებათათვის საერთოდ განსახილველად ის საგანი, თუ კერძო მკურნალებს ავადმყოფთ წამლობის დროს როგორ უნდა მიეცეთ სასყიდელი მათ მიერ გაწეულ სამკურნალო დახმარებისათვის და ეს სასყიდელი რა რაოდენობისა უნდა იყოს.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

ინგლისის გაზეთებმა და საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ ბოლოს დროს იმას, რომ სამხრეთ აფრიკაში ინგლისის მეომართა შორის ძალიან ბევრნი შეიშალნენ ჭკუიდან. თითქმის ყველა ეს შეშლილნი თავში არიან დაჭრილნი. მარტო მაგერსფონტეინთან მომხთარ ბრძოლაში ცხრა კაცი დაიჭრა თავში და ცხრავე ჭკუიდან შეიშალა. უწინდელ ომებში ასეთი შემთხვევები არ ახსოვთ. ზოგი დაჭრილი ჭკუიდან მაშინ შესცდა, როდესაც იგი ინგლისში ჩავიდა.

* * *

შეერთებულ შტატებში, დენვერის მახლობლად, ამას წინად ნიღაბ ჩამოფარებულმა ყაჩაღებმა მთელი სახალხო მატარებელი გაძარცვეს. ყაჩაღებმა მატარებელი შიგ შუა მინდორში შეაჩერეს, შევიდნენ შიგ, ყველა ვაგონს სათითაოდ დაუარეს და კონდუქტორებს ძალად გაალებინეს კუპეების კარები. ყველას უდრტვინველად გადაუცია ფული. მხოლოდ ერთს სამოცის წლის მოხუცს გაუწევია წინააღმდეგობა და ყაჩაღებს იქვე მოუკლავთ რევოლვერით. როდესაც მოგზაურები გაუძარცვიათ, ნივთებით სავსე ტომრები კონდუქტორებისათვის აუკიდნიათ და კარგა მოშორებით გაუტანინებიათ. ამ შრომისათვის ყაჩაღთა წინამძღოლს რამდენიმე მანეთი უჩუქებია უფროს კონდუქტორისათვის და უთქვამს, ამისი არაყი დალიეთო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო.

პრეტორია. ბორუჩიკი კორდუა გუშინ დახვრიტეს. ინგლისელები გელუქში შევიდნენ, მახადოდორპიდგან ჩვიდმეტის მილის მანძილზედ.

ვეიმარი. წუთისაგან გარდაიცვალა ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე.

ბერლინი. გერმანიის ადმირალი იუწყება ტაკუდგან, რომ მდინარე პეიხოზე სურსათის გზავნა უზრუნველ-ყოფილიაო.

შანხაი. 9 აგვისტოს აქ მოვიდა რუსეთის ჯარის დიდი რაზმი 5 ზარბაზნით. 10 აგვისტოს 500 ფრანგთა ჯარის-კაცი მოვიდა.

ლონდონი. „ტაიმსს“ შემდეგი დეპეშა მიუღია პეკინიდგან: „აქ ძარცვა გლეჯაა. საფრანგეთისა და რუსეთის დროშები ამართულია საიმპერატორო ქალაქის საუკეთესო ნაწილში, სადაც, როგორც ფიქრობენ, ჩაფლულია იმპერატორის განძი. ქალაქის აკრძალული (უცხოელებისათვის) ნაწილი სახელმწიფოების შეთანხმებით ხელ-უხლებელია, მაგრამ ჩინელების დასჯა ამ ნაწილის აუღებლად შეუძლებელია. იაპონიამ, როგორც ამბობენ, ხელში ჩაიგდო ნახევარ მილიონი ტაელი ვერცხლი.

პეტერბურგი. შორეულ აღმოსავლეთის ამბებისა და მათგან გამოწვეულ არა ჩვეულებრივ ხარჯების გამო უმაღლესად ნაბრძანებია ღვინისა, სპირტისა და თამბაქოს აქციზს მიემატოს. ეს ახალი აქციზი მდგომარე წლის 16 აგვისტოდგან იქმნება შემოღებული.

13 აგვისტო.

პეტერბურგი. ნოვგოროდის არქიეპისკოპოსს თეოგნოსტეს ებრძანა კიევისა და გალიცკის მიტროპოლიტადა და კიევო-პეჩერის მიძინების უდაბნოს არქიმანდრიტად ყოფნა.

გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც საბაჟო გარდასახადი უცხოეთის ყველა საქონელს გარდაჰხდება პრიამურის მხარეში.

პეკინი. იაპონიის ჯარები ქალაქის დაკეტილ უბნის კარებთან მივიდნენ, ჯარები მთავრობათა განკარგულებას მოელიან, რომ ჩაკეტილი უბანი გაარღვიონ. ამბობენ, ტუანი პეკინში უნახავთო. მის აღმოსაჩენად სასტიკი ღონისძიებაა მიღებული.

ტუნჯოუნთან ჩინეთის ცხენოსანი ჯარი აღმოჩნდა. [illegible] იქმნა ინგლისისა და ამერ[illegible] ცხენოსანთა ესკადრონი დედოფლის მდევრად, რომელიც, ჰფიქრობენ, ძველ დედაქალაქში—ვინონფუში წავიდაო.

„რეიტერის სააგენტო“-ს კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება პეკინიდგან, რომ მოკავშირეთა ჯარები სწორედ დროზედ მოვიდნენო. უცხოელები თითქმის სრულებით მოიქანცნენ, რადგანაც 31 ივლისს მათ საშინელი სროლა აუტეხეს ჩინელებმა. ცზუნგ-ლი-იამენმა კიდევ სცადა მოტყუილება: შეატყობინეს, ვითომც მას ჩინელ ჯარებისათვის ებრძანებინოს ბრძოლის შეწყვეტა. მაგრამ ჩინელები მოტყუებით თავს დაესხნენ ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის საელჩოებს; მთელი ღამის განმავლობაში საშინელი ხმაურობა იყო; გათენებისას მოისმა ზარბაზნების ხმა, რომელმაც ალყა-შემორტყმულნი გაამხნევა. ჩინელები საელჩოებს ესროდნენ, სანამ მოკავშირეთა ჯარები არ შევიდნენ პეკინში, ჩინელები გამოტეხით ამბობენ, რომ ალყის შემორტყმის დროს დაჰკარგეს 3,000 კაცი. ორი თვის განმავლობაში საელჩოები გამუდმებულ თავდასხმისა და სროლისაგან თავს იფარავდნენ; საჭმელად ბრინჯი და თითო გირვანქა ცხენის ხორცი-ღა გვქონდა დღეშიო. როცა მოკავშირეთა ჯარები ქალაქს მიადგნენ, ამერიკელებმა იერიში მიიტანეს ერთ კარებზე,—ჩინელებიც აქეთკენ წამოვიდნენ, ასე რომ კარები შეხო უპატრონოდ დარჩა და ინგლისელებიც სრულებით დაუზარალებლად შევიდნენ ქალაქში ამ კარებით.

ტიან-ძინი. ტაკუში თან-და-თან მეტი გემები მოდის სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ჯარებით დატვირთული; გერმანელთა ჯარის სამი რაზმი უკვე მოვიდა: ერთი პოლკი გაემართა პეკინისაკენ, მეორე ტიან-ძინისაკენ. ნავთ-სადგურში კიდევ რუსეთის სამი გემი სდგას. ასი კაცი, ამათში ზოგი დამოენის მოხელეა, პეკინიდგან გამოვიდნენ და სადარაჯოდ მდინარით ქვეითკენ გაემგზავრნენ. უცხოელთ ჰსურთ პასტინფუზე გალაშქრებაში მონაწილეობა მიიღონ, რომ ქალაქი დაანგრიონ და ამით სამაგიერო გადაუხადონ იქ მყოფთა დახოცვისათვის.

პარიჟი. გენერალი ფრეი დეპეშით იტყობინება პეკინიდგან, რომ მოკავშირეთა ჯარები გარს შემოერტყნენ იმპერატორის სასახლეს, სადაც რამდენიმე ჩინელი ჯარის-კაციაო; გენერლებმა გარდასწყვიტეს, ჯარები სასახლეში გაატარონ, რომლის კარებიც შემდეგ ამისა დაიკეტება.

კრიუგერსდორპი. დელარეი ძლიერის რაზმით სადგურ ბანკთან გაჩნდა და იოჰანესბურგ-პოტჩეფსტრომის რკინის გზაზედა და მოსთხოვა გარნიზონს, რომელიც ლონდონელ ვოლონტიერებისაგან შესდგება, ლორდ ალბერმალის უფროსობით, დაჰნებებოდნენ მას; გარნიზონმა უარი შეუთვალა. ამ დროს დევეტმა რკინის გზა გადაიარა სადგურ ბანკის ახლოს და ორანჟის რესპუბლიკისაკენ გასწია. ცხადია, რომ დელარეის მოქმედება მხოლოდ სამხედრო ხერხი იყო, რომლის საშუალებითაც დევეტის მოძრაობა უნდა დაფარულიყო.—ბულლერი 10 აგვისტოს ბურების ძლიერს წინააღმდეგობას წააწყდა: ესენი ინგლისელ ცხენოსან ჯარს ჩასაფრებოდნენ და ახლო მანძილზედ დაეწყოთ სროლა მისთვის; მაგრამ ზარბაზნებმა შეაწყვეტინეს მათ სროლა. ბურებმა განზრახვა ვერ შეასრულეს. გაუგებრობის გამო უმთავრესს ჯარს ორი ინგლისის როტა მოაკლდა და ბურებმა ალყა შემოარტყეს მათ; ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ: მოუკლეს 1 ოფიცერი და 12 ჯარის-კაცი; დასჭრეს—4 ოფიცერი და 57 ჯარის-კაცი. 33 დაიკარგა.

ლონდონი. შანხაიდგან იუწყებიან 11 აგვისტოს, რომ იმპერატრიცა და მისნი კარის-კაცნი შეპყრობილ იქნენ იაპონიის ჯარის მიერ პეკინიდგან 80 მილის სიშორეზე სამხრეთ-დასავლეთითო; იმპერატორი გუანსუ მდევრებს დანებდა.

ბერლინი. გერმანიის ესკადრის მეორე ადმირალი იუწყება ტაკუდგან: „ტიან-ცზინიდგან 9 აგვისტოს აქ მიღებული რუსეთის დეპეშები ამბობენ, რომ პეკინის სამხრეთ ნაწილში კიდევ არისო „დიდი მუშტის“ ბრბო. ქალაქის საიმპერატორო ნაწილში ჩინეთის ჯარი პრინცის ცინის სარდლობით სდგასო. იმპერატორმა და იმპერატრიცამ მიატოვეს პეკინი. პეკინში დაწესებულია სამხედრო მმართველობა. 9 აგვისტოს, დილით, პეკინიდან გაიქცაო ტუნჯუსაკენ 100 კაცი“

ლონდონი. საღამოს გაზეთების სიტყვით, გენერალი იუნლე ციხიდან გაქცეულა და პასტინფუში მისულა.

14 აგვისტო.

პეტერბურგი. დეპეშა ელჩის გირსისა, მიღებული ჩიფუს გზით 8 აგვისტოს: „პეკინი, 3 აგვისტო. მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარმა გუშინ ბრძოლით და-ჰყრო პეკინი. იმათ მოსვლამდე მისსიას კვლავ დაესხნენ თავს ჩინელები. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო სამაგალითო მამაცობა საიმპერატორო მისსიის ყველა დამცველთა, რომელნიც ორის თვის განმავლობაში ყოველდღე იბრძოდნენ. სამეფო კარი გაიქცა პეკინიდგან. ჯერ არ ვიცით, რომელი მინისტრთაგანი დარჩა“.—დეპეშა გენერალის ლინევიჩისა, 10 აგვისტოს თარიღით გამოგზავნილი: „3 აგვისტოს რუსეთისა და საფრანგეთის შეერთებულმა ჯარმა განათავისუფლა საფრანგეთის მისსიონერები და იმათი მონასტერი ბეიტანი, რომელიც ორის თვის განმავლობაში ალყა-შემორტყმული იყო დიდის მუშტის მიერ, ამის შემდეგ რუსებმა და ფრანგებმა განდევნეს დიდის მუშტის მომხრენი საიმპერატორო ქალაქიდგან და დასავლეთის მხრის კარი დაიჭირეს, სადაც რუსეთისა და საფრანგეთის დროშანი აღმართეს; საიმპერატორო სასახლის მეორე მხარეს დაყენებულია დარაჯი სხვა ერებისა, რომელნიც ბრძოლითვე აღწევდნენ ქალაქის კარამდე. იმპერატრიცა, კარის-კაცნი და მთავრობა გაიქცნენ შენსის პროვინციაში; იმათთანვეა იმპერატორი და მემკვიდრე. ამ დღეს რუსებს დაუჭრეს ხუთი კაცი, ფრანგებს—ხუთი მოუკლეს და 25 დაუჭრეს. პეკინში დიდი მუშტი აღარ მოიპოვება“.

კიევი. ნიკოლოოზ ტერეშჩენკომ 7,000 მან. შეიტანა წითელის ჯვრის კიევის საზოგადო საცხოვრებელში.

ვილნა. დაწესებულ იქმნა განსაკუთრებული დედათა კომიტეტი, რომელიც ფულსა და ნივთეულობას აგროვებს შორეულს აღმოსავლეთში ავადმყოფ და დაჭრილ ჯარის-კაცთა სასარგებლოდ.

ტიან-ძინი. იაპონიის ჯარმა დაიპყრო პეკინის აღკრძალულ ქალაქის შინა ნაწილის კედლები; სასახლეში ჯერ არ შეუღწევიათ.

კაპშტადტი. რობერტსი მოვიდა გუშინ ბელფასტში და აქ შეხვდა ბულლერსა, პოლკერიუსა და ფრენჩს.

ნოვგოროდი, 13 აგვისტო. აქ აკურთხეს წმ. სოფიის ტაძარი. წირვა გარდაიხადა ახლად განმწესებულმა კიევის მიტროპოლიტმა თეოგნოსტემ. კურთხევას დაესწრნენ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი და მისი თანაშემწე საბლერი.

ლონდონი. გენერალი დორვარდი დეპეშით იუწყება ტიან-ძინიდგან, რომ 6 აგვისტოს ტიან-ძინიდგან რვა მილის მანძილზედ სამხრეთ-დასავლეთით მე 1,000 კაცით ამერიკელებითა, იაპონელებითა, ავსტრიელებითა და ინგლისელებით თავს დავესხი ჩინეთის ჯარის რაზმს; ორის საათის ბრძოლის შემდეგ ჩინელები გაიქცნენ, მათ შორის 3,000 კაცი დაჭრილ და მოკლულ იქმნა, ხოლო 60 ტყვედ წამოვიყვანეთ; 800 კაცამდე სამხრეთისაკენ გაიქცა, ხოლო უმეტესი ნაწილი და მთავარი ძალა—დასავლეთისაკენ. მოკავშირეთა ჯარში 11 კაცია დაჭრილი. ტიან ძინის ახლო-მახლო ადგილები ეხლა თავისუფალია. სოფლებში ჩინელები შეუბრალებლად მოჰქცევიან ხალხს; რამდენიმე კაცი ვიპოვნეთ თავ-მოჭრილი. ახლო-მახლო სოფლებიდგან ყოველდღე 1,000-მდე კაცი მოდის ტიან-ძინში, სადაც სურსათი მხოლოდ ერთის თვის სამყოფი-ღაა, ასე რომ სურსათის ნაკლებულებას ჩქარა უნდა მოველოდდეთ.

წერილი რედაქციის მიმართ

გულითა და სულით ღრმეს მადლობას ვუცხადებთ პატივცემულს ხარლამპე ძაძამიას, რომელმაც შეაგროვა ლანჩხუთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს შენობისათვის 18 მ. 50 კ. აგრეთვე იმათ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ კეთილის საქმისათვის. ფული შემოსწირეს, ხარლ. ძაძამიამ ორი მანეთი; ამ. ღლონტმა, ივ. გარაყანიძემ, გიორ. კუკულაძემ, ლევ. ქვანიამ, მიხ. სადრაძემ, პავლე ნინიძემ, ამ. მესხიამ, მალ. დგებუაძემ, ზოს. ლეჟავამ თითო მანეთი; ან. იმნაძემ, მოსე და ნოე კაპაყმაძეებმა, ამ. კვაჰანტირაძემ, მელ. ჩხარტიშვილმა, ბიკ. ჭედიამ, არ. კვაჭაძემ, ალ. მებუკემ, ჩაგუ თოდუამ, ვას. ფაჩულიამ, სით კვაჭაძემ, აპელ შაგიძემ, პავ. თოდუამ, ვ. არდაშელიამ, დავ. კუჭუხიძემ და ქ. შაგიძემ ათ-ათი შაური.

ლანჩხუთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს მმართველი—ნ. მხეიძე. და გამგე—გრ. ურატაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე